აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 72

26/12/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 16 დეკემბრის №17 დადგენილების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 დეკემბრის №13-უ.ს.შ.ს. დადგენილების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. ცნობილ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, სახელწოდებით - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, დავით თარხან-მოურავის (პარტიულ სიაში №1) ადგილმონაცვლედ, ამავე პოლიტიკური გაერთიანების პარტიული სიით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ზაზა ოქუაშვილი (პარტიულ სიაში №2).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე